ბრძანება

ქ. თბილისი

N 1084-03
25/07/2022

,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ“ N 1043-03, 11/07/2022 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59–ე მუხლის, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 25 ივლისის N10230-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ“ N 1043-03, 11/07/2022 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების მე-11 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2. სოციალური მეცნიერებები:

ა) პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);

ბ) სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);

გ) ფსიქოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);“

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს,

იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი